ბიზნეს ადმინისტრირების (ფინანსები) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზართან შესაბამისობის კვლევა

2019 წელი

ანგარიში მომზადებულია ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის პროცესისთვის

მეთოდოლოგია 3
კვლევის ამოცანა 3
გამოყენებული მეთოდები 3
მეორადი წყაროების ანალიზი 5
შრომის ბაზრის მსოფლიო ტრენდი 5
საქართველოს შრომის ბაზრის მიმოხილვა 5
სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტების რაოდენობა 11
ვაკანსიების პორტალის განცხადებების ანალიზის შედეგები 12
დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები 16

მეთოდოლოგია

კვლევის ამოცანა

კვლევის ამოცანა გახლდათ ბიზნესის ადმინსიტრირების (ფინანსები) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზართან შესაბამისობის შესწავლა.

გამოყენებული მეთოდები

მეორადი წყაროების ანალიზი

ბიზნესის ადმინსიტრირების (ფინანსები) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზართან შესაბამისობის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, რომელიც ადასტურებს რომ ერთის მხრივ, მოთხოვნა ამ საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ სტუდენტების მხრიდან იქნება ინტერესი, ხოლო მეორეს მხრივ დასაქმების ბაზარზე იქნება მოთხოვნა ამ პროგრამის კურსდამთავრებულების მიმართ. ამისათვის შესწავლილი იქნა შემდეგი სახის სტატისტიკური ინფორმაცია:

- საქართველოში საწარმოთა რიცხოვნობის დინამიკა
- ფინანსურ და სადაზღვევო სფეროში დასაქმებულთა საშუალო ხელფასის დინამიკა
- ფინანსურ და სადაზღვევო სფეროში მოქმედ საწარმოთა რიცხოვნობა
- სტუდენტების რაოდენობა სამაგისტრო პროგრამებზე

ვაკანსიების პორტალის განცხადებების ანალიზი

ფინანსების მიმართულებით მაღალი მენეჯერული რგოლის პოზიციებზე დამსაქმებლების მოთხოვნების შესწავლის მიზნით, გაანალიზებული იქნა www.jobs.ge ზე განთავსებული ვაკანსიების განცხადებები. კვლევისთვის ინტერესის საგანს წარმოადგენდა განცხადებების შემდეგი მახასიათებლები:

- ფინანსების მიმართულებით მენეჯერულ პოზიციებზე გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობა
- ფინანსების მიმართულებით მენეჯერულ პოზიციებზე გამოცხადებული ვაკანსიების გამომცხადებელი კომპანიების საქმიანობის სფერო
- ფინანსების მიმართულებით მენეჯერულ პოზიციებზე გამოცხადებული ვაკანსიების მოთხოვნები / სამუშაო აღწერილობები
- ფინანსების მიმართულებით მენეჯერულ პოზიციებზე გამოცხადებული ვაკანსიებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნები

დამსაქმებელთა გამოკითხვა

ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებისთვის ჩატარდა პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვა. გამოკითხვა ჩატარდა Survey monkey-ს პლატფორმის გამოყენებით. რესპონდენტებს შორის იყვნენ, როგორც აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პარტნიორი კომპანიები ისე საგანმანათლებლო პროგრამის პოტენციური დამსაქმებლები. სულ კითხვარი დაეგზავნა 500-მდე საშუალო და მსხვილ კომპანიას. კითხვარი სრულად შეავსო 25 მა ბიზნეს კომპანიამ.

გამოკითხვა ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) მიმართულებით მაგისტრის ხარისხის მქონე კადრზე მოთხოვნის შეფასება
- ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დამსაქმებლების მოთხოვნებთან შესაბამისობა
- ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)კვალიფიკაციის მქონე კადრის პოვნის სირთულე
- ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) კვალიფიკაციის მქონე კადრზე მოთხოვნა
- კადრის მოძიების სირთულეები
- კადრის მოძიების სტრატეგიები

მეორადი წყაროების ანალიზი

შრომის ბაზრის მსოფლიო ტრენდი

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ყოველწლიურად აგროვებენ მონაცემებს შრომის ბაზრის დინამიკის შესახებ. აშშ-ს შრომის დეპარტამენტის პროგნოზის მიხედვით ვკითხულობთ, რომ:

1. 2022 წლამდე 11%-ით გაიზრდება ბუღალტრებისა და აუდიტორების დამხმარე პერსონალზე მოთხოვნა.
2. მოთხოვნადი ასევე იქნება პერსონალური ფინანსური მრჩეველის პროფესია. 2020 წლამდე ამ პროფესიაზე მოთხოვნა 30%-ით გაიზრდება.

შესაბამისად მოთხოვნას ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსების) მიმართულებით საქართველოც აუბამს მხარს და პროფესია მომავალი წლების მანძილზრ მზარდი იქნება.

საქართველოს შრომის ბაზრის მიმოხილვა

საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზისთვის მნიშვნელოვანი საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიმოხილვა.

უმუშევრობის მაჩვენებელს განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარება და რაც უფრო მაღალია ეკონომიკური ზრდის ტემპი, მით მაღალია მოთხოვნა პროფესიულ კადრებზე. ეკონომიკის ზრდის ტემპი და სამუშაო ადგილების ზრდა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან. თუ ამოვალთ დებულებიდან, რომ საქართველოში ბოლო წლებში ეკონომიკა მზარდია, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროფესიის მქონე კვალიფიციური კადრის დასაქმების შესაძლებლობები იზრდება.

დიაგრამაზე წარმოგიდგენთ 2010-2017 წლის ეკონომიკის განვითარების მაჩვენებლები ერთ-ერთ მაჩვენებელს, რომელიც ადასტურებს წინა აბზაცში გამოთქმულ მოსაზრებას, იმის შესახებ, რომ ეკონომიკა მზარდია ქვეყანაში.

*დიაგრამა 1. **ბიზნეს კომპანიების მთლიანი გამოშვება მიმდინარე ფასებში მლნ ლარი (2010-2017)***



2017 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომლია ვტორია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოში დასაქმების მაჩვენებლის ზრდას კერძო სექტორის ზრდა განაპირობებს. შესაბამისად, კერძო სექტორის აქტივობის ზრდა უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების გენერაციას და უნივერსიტეტების მიერ გამოშვებული კურსდამთავრებულებს დასაქმების მეტი შესაძლებლობებს მისცემს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ გაზრდის მათზე მოთხოვნას.

დიაგრამა 2. კერძო კომპანიების რაოდენობის დინამიკა წლების მიხედვით





დასაქმებულთა დინამიკაც კერძო საწარმოებში იზრდება სტაბილურად. დიაგრამაზე #3 წარმოდგენილია დინამიკა კერძო კომპანიებში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით

დიაგრამა 3. დასაქმების მაჩვენემელი ბიზნეს-ორგანიზაციებში



სახელმწიფო, როგორც დამსაქმებელი ასევე მზარდი შრომის ბაზრის სექტორია. 2013 წლიდან დღემდე სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება.

დიაგრამა 4. სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა



თუ ძირითადი მაჩვენებლები მიხედვით დასაქმების ბაზარი მზარდია და ჯერ არ არის გაჯერებული, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს იმ სიტუაციასთნ, რომ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას აქვს გამოწვევა, კვალიფიციური და კონკურენტუნარიები კადრი შესთავაზოს ბაზარს.

"უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის გაზრდა თანამედროვე სამყაროსთვის მეტად მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ბოლონიის პროცესის ფარგლებში ბოლო ათწლეულების განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, უმაღლესი განათლების ძირითადი აქცენტები შეიცვალა

და დაიწყო ტრადიციული აკადემიური პროგრამებისთვის დამახასიათებელი თეორიული სწავლების ინტეგრირება ახალ, ბაზარზე ორიენტირებულ სწავლებასთან, რაც გულისხმობს პროფესიული (დარგობრივი) ცოდნისა და ტრანსფერული (ზოგადი) უნარების სინთეზს.“[1]

ბოლო წლების კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოში სტრუქტურული უმუშევრობაა, რაც გულისხმობს იმას, რომ დასაქმების ბაზრის მოთხოვნები ნაკლებად შესაბამება მიწოდებას. ამ გარემოებას ემატება ისიც, რომ დამსაქმებელთა უმეტესობა კადრების კვალიფიკაციის ნაკლებობაზე საუბრობს. ამ ეტაპისთვის არის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა კადრზე, რაც უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისთვის გამოწვევას წარმოადგენს.

უმუშევრობის დონე ქვეყანაში იკლებს მიუთითებს სამუშაო ადგილების ზრდაზე მთლიანობაში

დიაგრამა 5. უმუშვრობის დონე საქართველო



ხელფასების დინამიკა სექტორების მიხედვით

შრომის ბაზრის მოთხოვნის დაახლოებით სურათს ასახავს, დასაქმების სექტორებში ხელფასების დინამიკასაც.

დიაგრამა 6. ხელფასების ზრდის დინამიკა

[1] http://css.ge/files/documents/Project%20reports/Academic_programs_&_labour_market_GEO.pdf



იმ სფეროების სახელფასო დინამიკა, რომელიც უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისთვის არის მნიშვნელოვანი, მზარდია, რაც მიუთითებს კვალიფიციურ კადრზე მოთხოვნაზე. აქ განსაკუთრებით ხაზი უნდა გავუსვათ ფინანსური და სადაზღვევო სფეროს ხელფასების დინამიკას. როგორც ვხედავთ ნიშნულები ამ სფეროში ყველაზე მაღალია და თუ ამოვალთ ი დებულებიდან, რომ პროფესიაზე მოთხოვნის ერთ-ერთი კრიტერიუმი არის სახელფასო ნიშნული და ამავდროულად გავითვალისინებთ მსოფლიო ტრენს, რომელიც წარმოვადგინეთ ანალიზის დასაწყისში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საფინანსო სექტორში დასაქმების მაჩვენებელი მზარდი იქნება მომავალი 4 წლის განმავლობაში.

დიაგრამა 7 ხელფასების დინამიკა საქართველოში სექტორების მიხედვით



აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ შრომის ბაზარზე კონკრეტული კადრის მოთხოვნას განაპირობებს საკანონმდებლო და ნორმატიული სიახლეებიც. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, გვეუბნება, რომ ფინანსური გამჭვირვალობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით სუბიექტთა ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი შესაბამისი უნდა იყოს ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთ, რაც გულისხმობს ყოველწლიურ ფინანსურ გამჭვირვალე ანგარიშგებას. ეს ვალდებულება, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის გააჩენს დამატებითი გადრის აუცილებლობას ფინანსურ აალიტიკოსებზე და ფინანსური მართვის სპეციალისტებზე, კონკრეტულად კი მაღალკვალიფიციურ აკადემიური განათლების მქონე კადრებზე.

სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტების რაოდენობა

სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია თავმოყრილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებპორტალზე. თუმცა დეტალური ინფორმაცია ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით ხელმისაწვდომი არ არის. სტატისტიკური ინფორმაცია მოცემული საგანმანათლებლო პროგრამების მსხვილი კატეგორიების მიხედვით. ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამა გაერთიანებულია მსხვილ ჯგუფში - სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი.

მიუხედავად ამისა არსებული მონაცემები ცხადყოფს რომ წლიდან წლამდე სტუდენტების რაოდენობა სამაგისტრო პროგრამებზე როგორც სახელმწიფო ისე კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში იზრდება.

დიაგრამა 8 სტუდენტების რაოდენობა სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამაგისტრო პროგრამებზე (2011-2012 სასწავლო წელი-2018-2019 სასწავლო წელი)



დიაგრამა 9 სტუდენტების რაოდენობა კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამაგისტრო პროგრამებზე (2011-2012 სასწავლო წელი-2018-2019 სასწავლო წელი)



ვაკანსიების პორტალის განცხადებების ანალიზის შედეგები

შესწავლილი იქნა 2019 წლის იანვარი-აპრილის თვეში (4 თვე) jobs.ge ზე განთავსებული ვაკანსიების განცხადებები.

ვაკანსიების რაოდენობა

სულ ამ პერიოდის განმავლობაში კომპანიებმა გამოაცხადეს 67 ვაკანსია, რომელზეც მოეთხოვებოდა უმაღლესი განათლება ფინანსების, ეკონომიკის ან ბიზნეს-ადმინისტრირების მიმართულებით. აქედან 28 შემთხვევაში დაკონკრეტებული იყო რომ მაგისტრის ხარისხი სავალდებულო იყო ან ჩაითვლებოდა უპირატესობად.

გამოცხადებული ვაკანტური პოზიციები დავყავით ოთხ ჯგუფად:

- **მაღალი მენეჯერული რგოლის თანამშრომლები ფინანსების მიმართულებით** - დირექტორი, კომერციული დირექტორი, ფინანსური დირექტორი, ფინანსური განყოფილების ხელმძღვანელი, დირექტორის მოადგილე ფინანსების დარგში.
- **ანალიტიკოსები** - ფინანსური ანალიტიკოსი, ფინანსური კონტროლიორი, ფინანსური რეპორტინგისა და ანალიზის სპეციალისტი, ბიზნესის ანალიტიკოსი
- **საშუალო მენეჯერული რგოლის თანამშრომლები** - ფინანსური მენეჯერი, ფინანსური კოორდინატორი, ლიზინგის პროექტების მენეჯერი, ბიზნესის განვითარების მენეჯერი, აქტივების კონტროლის მენეჯერი

- **სპეციალისტები / მენეჯერის თანაშემწე** - ფინანსური სპეციალისტი, ფინანსური მენეჯერის თანაშემწე, ფინანსური დირექტორის თანაშემწე, ფინანსური განყოფილების უმცროსი სპეციალისტი

დიაგრამა 10 www.Jobs.ge ზე გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობა პოზიციების მიხედვით



ვაკანსიების გამომცხადებელი კომპანიების საქმიანობის სფერო

ფინანსების მიმართულების მენეჯერული პოზიციებზე ვაკანსიები ბოლო 4 თვის განმავლობაში გამოცხადებული ჰქონდა 11 სფეროს კომპანიებს. აქედან ყველაზე ხშირად საფინანსო საქმიანობის სფეროში მოქმედ კომპანიებს ჰქონდათ გამოცხადებული ვაკანსიები. სიხშირის მიხედვით მეორე ადგილზეა წარმოება (კვების პროდუდქტების და ალკოჰოლური სასმელების წარმოება), მესამე ადგილზე კი ვაჭრობის სფეროში მოქმედი კომპანიების ვაკანსიები.

დიაგრამა 11 ვაკანსიების რაოდენობა კომპანიების საქმიანობის სფეროს მიხედვით



ფინანსების მიმართულებით მენეჯერულ პოზიციებზე გამოცხადებული ვაკანსიების მოთხოვნები / სამუშაო აღწერილობები

- პერიოდული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ეროვნული ბანკისათვის / ინვესტორებისათვის /მენეჯმენტისათვის /დონორებისთვის/ დამფუძნებლებისთვის/სამეთვალყურეო საბჭოსთვის
- პერიოდული რეპორტების ავტომატიზაცია და სტანდარტიზაცია
- ფინანსურ - ანალიტიკური ანგარიშების მომზადება
- კომპანიის ბიუჯეტის დაგეგმვა, შესრულების კონტროლი /მართვა და ანალიზი
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების კონტროლი
- კომპანიის ფინანსების და მიმდინარე ხარჯების მართვა
- კომპანიის პროგრამული და ადმინისტრაციული ბიუჯეტის (ყოველწლიური, კვარტალირი, ყოველთვიური) დაგეგმვა და კონტროლი
- ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე კონტროლი
- ეკონომიკური პროგნოზირება და ბიზნეს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით რეკომენდაციების მოწოდება
- კომპანიის ფინანსური რისკების შეფასება
- ფინანსური ოპერაციების დადგენილი პროცედურების შესაბამისად განხორციელება და მონიტორინგი
- სტრატეგიული ფინანსური გეგმების მომზადებაში მონაწილეობის მიღება

- ბუღალტრული ჩანაწერების სისწორისა და ბუღალტრული აღრიცხვიანობის კონტროლი
- ანალიტიკური სამუშაოსთვის აუცილებელი ინსტრუქციების, მეთოდოლოგიის, აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმების შემუშავება
- ფინანსური პროცედურების გაწერა ინსტრუქციის სახით და მათი დანერგვა პრაქტიკაში
- არსებული ხარჯების მიმდინარე ანალიზი და წინადადებების წარდგენა ხარჯების ოპტიმიზაციაზე
- აუდიტის პროცესში აუდიტორებთან კომუნიკაცია და მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება
- ბანკებთან და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან კომუნიკაცია
- ახალი საინვესტიციო პროექტების ფინანსური მოდელების გაკეთება
- ბიზნესის ფინანსური მომგებიანობის ანალიზი, ინვესტიციების შეფასება
- ეკონომიკური და სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზი
- კომპანიის საბრუნავი საშუალებების კონტროლი
- კომპანიის სატარიფო პოლიტიკის განსაზღვრისას, კალკულაციის წარმოება
- ხარჯების, ფასების ანალიზი და მისი შედარება კომპანიის ბიზნეს გეგმასთან და პროგნოზებთან
- ფულადი სახსრების ბრუნვის კონტროლი

დამსაქმებლები საკონკურსო განცხადებებში ითხოვენ შემდეგი სახის ცოდნას:

- შემოსავლების სამსახურის პროგრამებში მუშაობა
- MS Excel-ის მაღალ დონეზე ცოდნა
- ფინანსური გათვლებისა და ანალიზის ცოდნა/გამოცდილება
- საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტების ცოდნა
- MS Office -ის პროგრამების მაღალ დონეზე ცოდნა
- ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) ცოდნა
- ERP ან CRM სისტემებთან მუშაობის გამოცდილება (მათ შორის 1 C)
- Certified Financial Analyst 1-ლი დონის ჩაბარების სერტიფიკატი
- ბუღალტრული პროგრამების: SuperFin და Oris-ის სრულყოფილად ცოდნა
- MS SQL-ის ცოდნა

დამსაქმებლები საკონკურსო განცხადებებში ითხოვენ შემდეგი ტრანსფერული უნარებს:

- პრობლემების გადაჭრის და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი
- გუნდური მუშაობის უნარი
- აზრის არგუმენტირებულად გადმოცემის უნარი
- ამოცანის ანალიზის, კრიტიკული შეფასების, საკვანძო და პრობლემური საკითხების დადგენის უნარი
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი
- პრეზენტაციის უნარი

დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები

კითხვარის პირველი კითხვა იყო ე.წ. ფილტრი კითხვა, რომლის მიზანი იყო გამოკითხვაში მონაწილეობა მიეღო მხოლოდ იმ კომპანიებს, რომელშიც არსებობს სამსახური ან პოზიცია, სადაც მოითხოვება ფინანსების მიმართულებით ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის ფლობა. შესაბამისად კითხვარის შევსებას აგრძელებდა ის კომპანია, რომლებიც პირველ კითხვას დადებითად პასუხობდა.

გამოკითხული კომპანიებში მინიმუმ 1 ხოლო მაქსიმუმ 17 ისეთი პოზიცია არსებობდა სადა მოითხოვებოდა ფინანსების მიმართულებით ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის ფლობა. სულ გამოკითხულ კომპანიებს ჰყავთ ასეთი 90 თანამშრომელი.

კომპანიებს ვთხოვდით შეეფასებინათ რამდენად აუცილებელია გააჩნდეს ესათუის ცოდნა მათ კომპანიაში ფინანსების მიმართულებით მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებულ თანამშრომელს. ცოდნის ჩამონათვალი მომზადდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით. როგორც აღმოჩნდა პრაქტიკულად ყველა ჩამოთლილ პუნქტები დამსაქმებლებმა შეაფასეს როგორც აუცილებელი ან მეტნაკლებად აუცილებელი. მხოლოდ ერთეულებმა უპასუხეს რომ კორპორაციული მართვის თანამედროვე მიდგომები, საინვესტიციო პროცესის ფინანსური უზრუნველყოფა და საერთაშორისო საფინანსო ბაზრის ტენდენციების ცოდნა არ არის აუცილებელი.

დიაგრამა 12 ფინანსების მიმართულებით მაღალ მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებული კადრის მიმართ მოთხოვნები



კომპანიებს აგრეთვე ვეკითხებოდით დამატებით რა უნარები უნდა ჰქონდეს მაღალ მენეჯერულ პოზიციებზე ფინანსების მიმართულებით დასაქმებულ კადრს. გამოკითხული კომპანიების 100% მა აღნიშნა რომ მაღალ მენეჯერულ პოზიციებზე ფინანსების მიმართულებით დასაქმებულმა კადრა უნდა იცოდეს პროფესიული კომპიუტერული პროგრამები. გამოკითხულთა 72%-მა აღნიშნა რომ ინგლისურ ენაზე ეფექტიანი კომუნიკაცია აუცილებელი უნარია, ხოლო 28%-მა კი უპასუხა რომ ეს უნარი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია. ცოდნის რეგულარუად განახლების უნარი აუცილებლად ჩათვალა გამოკითხულთა 80%-მა. პროფესიული ღირებულებებისა და ეთიკის ნორმების დაცვის უნარი, დამოუკიდებელი კვლევის უნარი, აკადემირუი წერის უნარი და ქართულ და უცხოენოვან პროფესიულ ლიტერატურასთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარი მხოლოდ რამოდენიმე რესპონდენტმა ჩათვალა არა აუცილებელ უნარად.

დიაგრამა 13 დამატებით რა უნარები უნდა ჰქონდეს მაღალ მენეჯერულ პოზიციებზე ფინანსების მიმართულებით დასაქმებულ კადრს?



კომპანიებს დამატებით ვეკითხებოდით რა არის ის ძირითადი მოთხოვნა მათი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელსაც აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს ფინანსების მიმართულებით ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მქონე კადრი. ქვემოთ

მოცემულია ის ცოდნები და უნარები რომლებიც რესპონდენტებმა აუცილებელ პირობად ჩათვალეს:

- ანალიტიკის აზროვნება
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი
- ინიციატივის გამოვლინების უნარი
- ინფორმაციის სწრაფი მოძიების უნარი
- რისკების ეფექტური მართვა
- შრომისმოყვარეობა
- ბიზნეს განვითარების და ზრდის ხედვის უნარი
- ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის ცოდნა
- ფინანსების მართვის ცოდნა
- აუდიტის პროცესის მართვა
- ინვესტორებთან ურთიერთობა
- სავალუტო ოპერაციების თამაშის წესების და ვაჭრობის ტექნოლოგიების ცოდნა

რესპონდენტებს ვეკითხებოდით რამდენად რთულია ფინანსების მიმართულებით ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციის მქონე კადრის შოვნა. საინტერესოა რომ არცერთმა რესპონდენტმა არ აღნიშნა რომ ასეთი კადრის შოვნა მარტივია. 44%-ის აზრით ასეთი კადრის შოვნა რთულია, 32% კი თვლის რომ გააჩნია შეთავაზებულ ანაზღაურებას. ეს პასუხი რეალურად ნიშნავს, რომ კვალიფიურ კადრზე ფინანსების მიმართულებით მოთხოვნა მაღალია და შესაბამისად მხოლოდ მაღალი ანაზღაურების შეთავაზების შემთხვევაში შეიძლება ასეთი კადრის შოვნა.

დიაგრამა 14 ფინანსების მიმართულებით ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციის მქონე კადრის შოვნის სირთულის შეფასება



გამოკითხვის პროცესში რესპონდენტებს ვეკითხებოდით აქვთ თუ არა ამჟამად ად მომავალი ერთი წლის განმავლობაში ექნებათ თუ არა ვაკანსია ისეთ კადრზე რომელსაც მოეთხოვება ფინანსების მიმართულებით ბიზნესის ადმინსიტრირების მაგისტრის ხარისხის ქონა. ამ ეტაპზე კვლევაში მონაწილე კომპანიებიდან მხოლოდ ორმა განაცხადა რომ ასეთი ვაკანსია აქვს, თუმცა მომავალი 1 წლის განმავლობაში რესპონდენტების 20% თვლის რომ ასეთი კადრის აყვანის საჭიროება ექნება, ხოლო 40% ვარაუდობს რომ ექნება.

დიაგრამა 15 ფინანსების მიმართულებით ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მქონე კადრზე შესაძლო ვაკანსია



რესპონდენტების 72% აღნიშნავს რომ ახალი კადრის მოძიებისას აწყდებიან შრომის ბაზარზე კვალიფიციური კადრების ნაკლებობის პრობლემას. 32% თვლის რომ კურსდამთავრებულების მზაობა არასაკმარიაი, ამდენივე თვლის რომ მოთხოვნილი ანაზღაურების ოდენობა არის მათთვის პრობლემა. რაც ნიშნავს იმას რომ პროფესიონალურ კადრზე მოთხოვნა მაღალია.

დიაგრამა 16 ახალი თანამშრომლის მოძიებისას პრობლემები



ახალი კადრის მოძიების სტრატეგიებიდან ყველაზე გავრცელებულია რეკომენდაცია (40%). დაახლოებით მესამედი გამოსაცელი ვადით დანიშვნის საფუძველზე იყვანს კადრს, მეხუთედი სტაჟირების შედეგად. ყველაზე იშვიათია უნივერსიტეტების სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის ცენტრის მეშვეობით კადრის შოვნის პრაქტიკა.

*დიაგრამა 17 **რა გზით/საშუალებით ხდება ორგანიზაციაში ახალი კადრების მოზიდვა/შერჩევა?***